რა არის და როგორ წავიკითხოთ დემოგრაფიული პირამიდა?



მოამზადა მაია ბლიაძემ

2026 წელი

ასევე იხილეთ სავარჯიშო თემაზე „დემოგრაფიული პირამიდები“

ქვეყნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დემოგრაფიული და ეკონომიკური მახასიათებელია მოსახლეობის განაწილება ასაკისა და სქესის მიხედვით. ინფორმაცია მოსახლეობის ასაკობრივი და სქესობრივი სტრუქტურის თაობაზე საშუალებას გვაძლევს, მივიღოთ მონაცემები სამუშაო ძალის ან სახელმწიფოზე დამოკიდებული ადამიანების - პენსიონერებისა და ბავშვების - რაოდენობის შესახებ.

მამაკაცებისა და ქალების თანაფარდობა განსაზღვრავს დასაქმების სტრუქტურას ეკონომიკური აქტივობისა და ქვეყნის ეკონომიკური სპეციალიზაციის მიხედვით. რეპროდუქციული ასაკის ქალების რაოდენობას შეუძლია გავლენა მოახდინოს შობადობის მაჩვენებელსა და მომავალი მოსახლეობის რაოდენობაზე.

ასაკობრივი სტრუქტურის თვალსაზრისით, მოსახლეობა, როგორც წესი, ერთ ან ხუთწლიან ასაკობრივ ჯგუფებად იყოფა. ზოგჯერ, უფრო ზოგადი განაწილება გამოიყენება და მოსახლეობას სამ ძირითად ჯგუფად ყოფენ :

0 – 14 წელი;

15 – 59 წელი;

60+ წელი.

მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურაზე გავლენას ახდენს მისი რეპროდუქციული სისტემა. შესაბამისად, ამ სტრუქტურას განსაზღვრავს შობადობისა და სიკვდილიანობის მაჩვენებლები. ცალკეული რეგიონების მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურაზე გავლენას ახდენს ასევე მიგრაცია, რადგან ადამიანები გარკვეულ ასაკში განსაკუთრებით ხშირად იცვლიან საცხოვრებელ ადგილს.

მოსახლეობის ასაკობრივი და სქესობრივი სტრუქტურის სიცხადისა და ერთობლივი წარმოდგენისთვის იყენებენ დემოგრაფიულ, ანუ მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივ პირამიდას.



რა არის დემოგრაფიული პირამიდა?



დემოგრაფიული, ანუ მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდა სვეტოვანი დიაგრამაა, რომელიც მოსახლეობის ასაკობრივ და სქესობრივ განაწილებას გვიჩვენებს კონკრეტული წლისთვის.

დემოგრაფიული პირამიდის მახასიათებლები



Y ღერძი აჩვენებს ასაკობრივ ჯგუფს.

პირამიდის მწვერვალზე ხანდაზმულთა მაჩვენებელია გამოსახული.

პირამიდის ძირში ჩვილებისა და ბავშვების მაჩვენებელია გამოსახული.

დემოგრაფიული პირამიდის მახასიათებლები

X ღერძი მოსახლეობას პროცენტულად აჩვენებს.



პირამიდის შუაში 0%-ია მითითებული

ზოლის სიგრძე აჩვენებს თითოეულ ასაკობრივ ჯგუფში ადამიანების რაოდენობას ან პროცენტულ მაჩვენებელს.

დემოგრაფიული პირამიდის მახასიათებლები

პირამიდის მარცხენა მხარე მოსახლეობაში მამრობითი სქესის რაოდენობას აჩვენებს.



პირამიდის მარჯვენა მხარე მოსახლეობაში მდედრობითი სქესის რაოდენობას აჩვენებს.

დემოგრაფიული პირამიდის მახასიათებლები

პირამიდის ეს ზოლი აჩვენებს, რომ მოსახლეობის 9% 0-4 წლის ასაკის მამრობითი სქესის წარმომადგენელია.



პირამიდის ეს ზოლი აჩვენებს, რომ მოსახლეობის 4% 25-29 წლის ასაკის ქალია.

რას გვეუბნება დემოგრაფიული პირამიდის ფორმა?

დემოგრაფიული პირამიდის ფორმა ინფორმაციას იძლევა შობადობისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის შესახებ.

ფართო ზოლი ახალგაზრდა მოსახლეობის დიდ რაოდენობასა და შობადობის მაღალ მაჩვენებელს ასახავს.

ფართო ფუძე ხშირია დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნებში, რომლებშიც შობადობის მაღალი მაჩვენებელია.



რას გვეუბნება დემოგრაფიული პირამიდის ფორმა?



ეს ეთიოპიის მოსახლეობის 2019 წლის პირამიდაა. პირამიდის ფორმა ქვეყანაში ჩვილი და მოზარდი მოსახლეობის ოდენობაზე მიუთითებს.

ვიწრო ზედა ნაწილი სიკვდილიანობის მაღალ მაჩვენებელსა და სიცოცხლის დაბალ ხანგრძლივობაზე მიუთითებს. ეს ნიშნავს, რომ ხანდაზმული ადამიანების რაოდენობა ნაკლებია.

ფართო ფუძე მაღალ შობადობას ნიშნავს და ახალგაზრდების დიდ რაოდენობაზე მიუთითებს.

რას გვეუბნება დემოგრაფიული პირამიდის ფორმა?



დემოგრაფიული პირამიდის ფორმა მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურას და ზრდის ტემპს ასახავს.

ვიწრო ზოლი მიუთითებს შობადობის დაბალ მაჩვენებელზე და მოსახლეობის დაბერებაზე.

პირამიდის ვიწრო ფუძე მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნებს ახასიათებს, რადგან ამ ქვეყნებში შობადობის დაბალი მაჩვენებელია.

რას გვეუბნება დემოგრაფიული პირამიდის ფორმა?

ეს საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიული პირამიდაა.



პირამიდის სიმაღლე სიცოცხლის მაღალ ხანგრძლივობაზე მიუთითებს.

ვიწრო ზედა ნაწილი დაბალ შობადობაზე მიუთითებს. ეს შობადობის მაჩვენებელი 20 წლის წინანდელ მაჩვენებელთან შედარებით **უფრო დაბალია.**

რას გვეუბნება დემოგრაფიული პირამიდის ფორმა?



პირამიდის სტაბილური ფორმა მოსახლეობის დაბალანსებულ ზრდას ასახავს.

თითოეული ასაკობრივი ჯგუფის ამსახველი ზოლი თითქმის ერთი ზომისაა.

დასკვნა

- დემოგრაფიული პირამიდა ქვეყნის მოსახლეობის ასაკობრივ და სქესობრივ სტრუქტურას გვიჩვენებს.
- დემოგრაფიული პირამიდის ფორმა საშუალებას გვაძლევს დავინახოთ, როგორ იცვლება ქვეყნის მოსახლეობა დროთა განმავლობაში. მაგალითად, პირამიდის ფართო ფუძე მიუთითებს შობადობის უფრო მაღალ მაჩვენებელზე, ხოლო ვიწრო ფუძე – შობადობის უფრო დაბალ მაჩვენებელზე.
- რაც უფრო მაღალია მოსახლეობის პირამიდა, მით მეტია სიცოცხლის ხანგრძლივობა.
- დემოგრაფიულ პირამიდაზე გამოსახული ზოლები მოსახლეობის რაოდენობას აჩვენებს გარკვეულ ასაკობრივ ჯგუფში.